რიგაში წაგებული მატჩი

რიგა (ტელეფონით. ჩვენი სპეც. კორ.).

12 ივლისს რიგაში შედგა ადგილობრივ “დაუგავასა” და თბილისის “დინამოს” მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში.

ისევე, როგორც წინა მატჩებში, თბილისელთა შემადგენლობაში თითქმის 50 პროცენტი სათადარიგო მოთამაშეები იყვნენ. ადრე დაშავებული ფეხბურთელები ჯერჯერობით ვერ ჩადგნენ მწყობრში, ხოლო სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში მყოფმა მოთამაშეებმა ვერ მოუსწრეს მატჩს. საბოლოოდ “დაუგავას” წინააღმდეგ თბილისელთა გუნდი ასე გამოიყურებოდა: კვაჭაძე, წუწუნავა, სიჭინავა, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, დათუნაშვილი, მელაშვილი, ბარქაია (ჩხარტიშვილი), ჟორდანია, იამანიძე, ბულია.

რიგელმა მაყურებლებმა კარგად იცოდნენ თბილისელთა ამ დანაკლისის შესახებ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათს მხრივ მოელოდნენ ქვეჯგუფის ერთ-ერთი ლიდერისათვის შესაფერის თამაშს. მატჩი მართლაც სტუმრების უპირატესობით დაიწყო, მაგრამ მინდვრის შუაგულში მოპოვებული ინიციატივა შესაფერის დაბოლოებას ვერ პოულობდა კარის წინ, ხოლო რიგელები უფრო ეფექტურად იყენებდნენ ხელსაყრელ მომენტებს. უკვე პირველ ტაიმში მათ ორჯერ აიძულეს მოწინააღმდეგე ცენტრიდან დაეწყო თამაში და შესვენებაზე წავიდნენ ამ სერიოზული “განდიკაპით” თავიანთ სასარგებლოდ _ 2:0.

მეორე ტაიმში რიგელებმა ვერ შეძლეს ანგარიშის გაზრდა, თუმცა რამდენიმე საამისო შესაძლებლობა ჰქონდათ. რაც შეეხება დინამოელებს, მათ მატჩის დასასრულს შეძლეს ერთი საპასუხო ბურთის გატანა (მელაშვილი).

ამ ანგარიშით _ 2:1 გაიმარჯვა “დაუგავამ”.

ბ. ოზოლინში.
“ლელო”, 14 ივლისი, 1960 წ.